ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №163153

ნომერი: AR144408

თარიღი : 26.04.2012

გაცემის თარიღი : 15.05.2012

გაცნობის თარიღი : 24.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ჩხეიძე პ/ნ 01031004113
- თბილისი ლესელიძის 44

ორგანიზაცია:
- კავკასუს როუდ პროჯექტ კოდი: 202258243

ნომენკლატურა :

- ოფისი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან მუშკუდიანი
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისი რაიონში, მირზა შაფის ქ. N5–ში, მრავალფუნქციური შენობის ესკიზური პროექტის წინასწარ შეთანხმებას. განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N18, 01.05.12წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, მირზა შაფის ქ. N5–ში, მრავალფუნქციური შენობის ესკიზურ პროექტს. გაპ–ის გაცემის დროს დასაზუსტებელი იქნება მოშენების ხაზი მირზა შაფის ქუჩის მხრიდან.

სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საპროექტო სამუშაოები საჭიროებს მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გავლას – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, რისთვისაც საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები > მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.